ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს,

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრსა“

და

ექიმები საზღვრების გარეშე – საფრანგეთს

შორის

„რეზისტენტული ტუბერკულოზის ახალი მკურნალობის დანერგვა“

საქართველო, 2014 წელი

აკრონიმები და აბრევიატურები

CU კონსილიუმი	მზურნველობითი თერაპიის ფარგლებში მედიკამენტის გამოყენების კონსილიუმი
ICSR	ინდივიდუალური შემთხვევის უსაფრთხოების ანგარიში
MedDRA	მარეგულირებელ საქმიანობათა სამედიცინო ლექსიკონი
MSF	„ექიმები საზღვრების გარეშე“
MSF-AC	„ექიმები საზღვრების გარეშე“ - ხელმისაწვდომობის კამპანია
MSF-საფრანგეთი	„ექიმები საზღვრების გარეშე“ - საფრანგეთი
MSF-PIH	„ექიმები საზღვრების გარეშე“ - პარტნიორები ჯანმრთელობისთვის
PIH	პარტნიორები ჯანმრთელობისთვის

განმარტებები:
„მხარეები“: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ და ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ექიმები საზღვრების გარეშე“ - საფრანგეთი

I. შესავალი
I.1 ორგანიზაცია „ექიმები საზღვრების გარეშე“ - საფრანგეთი (MSF-საფრანგეთი)
I.2 MSF-საფრანგეთი საქართველოში

II. რეზისტენტული ტუბერკულოზის ახალი მკურნალობის დანერგვის პროექტი
II.1 პროექტის მიზნები
II.1.1 ძირითადი მიზანი
II.1.2 სპეციფიური მიზნები

III. მხარეთა ვალდებულებები
III.1 მხარეთა ზოგადი ვალდებულებები
III.2 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვალდებულებები
III.3 სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ ვალდებულებები
III.4 ექიმები საზღვრების გარეშე (MSF) - საფრანგეთის ვალდებულებები

IV. ადამიანური რესურსები

V. ურთიერთგაგების მემორანდუმის განხორციელება

VI. დავის გადაწყვეტა

VII. სხვა

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი, გაფორმებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრსა“ და ექიმები საზღვრების გარეშე (MSF) – საფრანგეთს შორის, ასახავს სამი მხარის პასუხისმგებლობას რეზისტენტული ტუბერკულოზის ახალი მკურნალობის დანერგვის პროექტთან მიმართებაში (შემდგომში მოხსენებული, როგორც „პროექტი“).

I. შესავალი

I.1 ორგანიზაცია „ექიმები საზღვრების გარეშე“ (MSF)

I.1.1 MSF არის კერძო, არაკომერციული, ჰუმანიტარული სამედიცინო ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს უნივერსალური სამედიცინო ეთიკისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისად.

MSF ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს გაჭირვებაში მყოფ მოსახლეობას ეთნიკური, რელიგიური თუ პოლიტიკური დისკრიმინაციის გარეშე.

I.1.2 „ექიმები საზღვრების გარეშეს“- ქარტია:

- „ექიმები საზღვრების გარეშე“ ეხმარება განსაცდელში ჩავარდნილ მოსახლეობას, სტიქიური ან ადამიანის ფაქტორით გამოწვეული კატასტროფების და შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთ <u>დისკრიმინაციის გარეშე</u> და რასის, რელიგიის, მრწამსისა თუ პოლიტიკური შეხედულების მიუხედავად.
- „ექიმები საზღვრების გარეშე“, არის აბსოლუტურად <u>ნეიტრალური</u> და <u>მიუკერძოებელი, უნივერსალური სამედიცინო ეთიკის</u> სახელითა და ჰუმანიტარული დახმარების უფლებით და მოითხოვს სრული თავისუფლების გარანტიას თავისი ფუნქციების განხორციელებისას.
- „ექიმები საზღვრების გარეშეს“მოხალისეები იღებენ ვალდებულებას, პატივი სცენ თავიანთი პროფესიული ეთიკის პრინციპებს და შეინარჩუნონ სრული <u>დამოუკიდებლობა</u> ყველანაირი პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ძალებისაგან.

I.2 ექიმები საზღვრების გარეშე – საფრანგეთი საქართველოში

MSF-საფრანგეთმა თავისი მოღვაწეობა საქართველოში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჩათვლით, დაიწყო 1993 წელს იმ კონფლიქტების საპასუხოდ, რაც თან მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლას.

2014 წელს MSF-საფრანგეთის მისია საქართველოში ახორციელებდა 2 პროგრამას: ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის პროგრამა და რეზისტენტული ტუბერკულოზის მედიკამენტებით მომრაგების პროგრამა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

II. რეზისტენტული ტუბერკულოზის ახალი მკურნალობის დანერგვის პროექტი

II.1 პროექტის მიზნები

II.1.1 ძირითადი მიზანი

რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთათვის ხარისხიანი მკურნალობის შეთავაზება ახალი სამკურნალო სქემების დანერგვის მეშვეობით.

II.1.2 სპეციფიური მიზნები

1. MSF-საფრანგეთის მიერ სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ მხარდაჭერა რეზისტენტული ტუბერკულოზის იმ შემთხვევათა გამოვლენაში, რომლებსაც ეკუთვნით მკურნალობა ახალი სქემით.
2. MSF-საფრანგეთის მიერ სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ მხარდაჭერა რეზისტენტული ტუბერკულოზის მქონე პაციენტების ახალი სქემით სამკურნალოდ მომზადებაში.
3. MSF-საფრანგეთის მიერ სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ მხარდაჭერა ახალი სქემით მკურნალობის დაწყებასა და მკურნალობის პერიოდში მეთვალყურეობაში.
4. MSF-საფრანგეთის მიერ სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ მხარდაჭერა ფარმაკოუსაფრთხოების საკითხებში.
5. MSF-საფრანგეთის მიერ სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ მხარდაჭერა ანგარიშგების ისეთი სისტემის დანერგვაში, რომელიც შესაბამისი იქნება არსებულ მონაცემთა შეგროვების სისტემასთან.
6. MSF-საფრანგეთის მიერ სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ მხარდაჭერა ახალი ტუბ. საწინააღმდეგო მედიკამენტების რეგისტრაციაში (ბედაქილინი, დელამანიდი და სხვა პრეპარატები, რომლებიც შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს).
7. MSF-საფრანგეთის მიერ სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ მხარდაჭერა ახალი ტუბ. საწინააღმდეგო მედიკამენტების შესყიდვასა და უსაფრთხო და ხელმისაწვდომ მომარაგებაში.
8. MSF-საფრანგეთის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ მხარდაჭერა ტუბერკულოზის გაიდლაინისა და პროტოკოლების განახლებაში საჭიროებისამებრ.
9. MSF-საფრანგეთის მიერ სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ მხარდაჭერა შესაბამისი თანამშრომლების ტრეინინგში ახალ მკურნალობასთან დაკავშირებული გვერდითი მოვლენების შესახებ და რეზისტენტული ტუბერკულოზის ახალ სამკურნალო სქემებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში.

III. მხარეთა ვალდებულებები

III.1 მხარეთა ძირითადი ვალდებულებები

1. MSF-საფრანგეთი იმოქმედებს როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ პარტნიორი პაციენტთა კლინიკური მართვის მხარდაჭერისა და ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ და MSF-საფრანგეთი ერთობლივად უზრუნველყოფენ MSF-საფრანგეთის სამედიცინო პერსონალის თანამშრომლობას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ პერსონალთან პროექტის განხორციელების ადგილებში, იმ დაწესებულებებში, სადაც MSF-საფრანგეთი განახორციელებს მხარდაჭერას (თბილისის ტუბ. საავადმყოფო, რეგიონული პოლიკლინიკები და ტუბ. ამბულატორიული პუნქტები).
3. ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობებთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი კლინიკური და სამკურნალო გადაწყვეტილების მიღება მოხდება „რეზისტენტული ტუბერკულოზის კონსილიუმზე“ რომელიც ჩატარდება სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ ხელმძღვანელობით, სხვა სპეციალისტების მხარდაჭერით, პაციენტის მკურნალობასა და მართვაში მონაწილე ადგილობრივი ექიმებისა და MSF-საფრანგეთის მონაწილეობით.
4. MSF-საფრანგეთის მხარდაჭერა განხორციელდება MSF-საფრანგეთის პროგრამის გაიდლაინებისა და პროტოკოლების მიხედვით, რომლებიც შესაბამისობაშია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინებთან.
5. სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ და MSF-საფრანგეთი დანერგავენ ანგარიშგების სისტემას, რომელიც შესაბამისობაში იქნება მონაცემთა შეგროვების არსებულ სისტემასთან.
6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ თანხმდებიან, რომ MSF-საფრანგეთის მიერ პროგრამისათვის გაწეული მხარდაჭერის მიზანია რეზისტენტული ტუბერკულოზის სრულყოფილი მკურნალობის გაუმჯობესება პროგრამის ფარგლებში, ამ მემორანდუმის განხორციელების პერიოდში პროექტის ადგილებში.

III.2 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვალდებულებები

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო ხელს შეუწყობენ რეზისტენტული ტუბერკულოზის სამკურნალო ახალი მედიკემენტების (ბედაქილინი, დელამანიდი და სხვა პრეპარატები, რომლებიც შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს) რეგისტრაციას საქართველოში „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის გათვალისწინებული კომპეტენციის შესაბამისად.

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, ხელს შეუწყობს MSF-საფრანგეთს პროექტის ფარგლებში

დაურეგისტრირებელი მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების კომისიური წესით შემოტანაში საჭიროებისამებრ, საქართველოს კანონით „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ამავე კანონით დადგენილ ვადაში.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ხელს შეუწყობს MSF-საფრანგეთის სამედიცინო პერსონალს, ადგილობრივსა თუ უცხოელს, განახორციელონ რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების უშუალო მოვლა პროექტის ფარგლებში (ბინაზე მოვლის ჩათვლით), სამედიცინო საქმიანობის უფლების მინიჭებით საჭიროების შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ხელს შეუწყობს ამბულატორიული მოვლის ქსელის განვითარებას რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთათვის, ბინაზე მოვლის ჩათვლით.

5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს სამედიცინო დაწესებულებების პერიოდულ შემოწმებას, რათა დაცული იყოს ინფექციის კონტროლის ზომების შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან.

6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ხელს შეუწყობს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ ამბულატორიულ პაციენტთა სოციალური მხარდაჭერის (ტრანსპორტირება და ფულადი წახალისებით მხარდაჭერა, რაც აუცილებელია მკურნალობაზე დამყოლობის გასაუმჯობესებლად) აქტივობების განხორციელებას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მოახდენს რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთათვის აღნიშნული სოციალური მხარდაჭერის უწყვეტად მიწოდების საკითხის გადასინჯვას.

7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრთან“ ერთად უზრუნველყოფს რეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უნივერსალურ ხელმისაწვდომობას პაციენტთათვის.

III.3 სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ ვალდებულებები

1. სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ აღიარებს MSF-საფრანგეთს პარტნიორად და თანხმობას აცხადებს მასთან მჭიდრო თანამშრომლობაზე.

2. სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ უშუალოდ არის პასუხისმგებელი რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობის პროექტის საორგანიზაციო და სამართლებრივ ნაწილზე.

3. სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ უზრუნველყოფს პროექტის წარმატებული განხორციელებისთვის საკმარისი რაოდენობის თანამშრომლების გამოყოფას

4. სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ უზრუნველყოფს

ჯანმოს მიერ პრეკვალიფიცირებული ტუბ. საწინააღმდეგო მედიკამენტების უწყვეტ მიწოდებას ყველა პაციენტისთვის.

5. სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ უზრუნველყოფს მკურნალობის გვერდითი მოვლენებისა და თანმხლები დაავადებების სამკურნალოდ საჭირო მედიკამენტების მიწოდებას.

6. სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ უზრუნველყოფს ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისათვის, კულტურალური და მგრძნობელობის ტესტებისათვის გარანტირებული ხარისხის სახარჯი მასალებისა და რეაგენტების მიწოდებას ცენტრის ცენტრალური მიკობაქტერიოლოგიური ლაბორატორიისათვის („ეროვნული რეფერენს ლაბორატორიისათვის“); ასევე, პაციენტის საწყისი მდგომარეობის შესაფასებლად და გვერდითი მოვლენების მონიტორირებისათვის საჭირო სხვა სადიაგნოსტიკო ტესტების მიწოდებას.

7. სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ მხარდაჭერას გაუწევს რეზისტენტული ტუბერკულოზის ახალი მკურნალობის დანერგვის პროექტს, ახალი პროტოკოლების იმპლემენტაციის გზით.

8. სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ მხარდაჭერას გაუწევს MSF-საფრანგეთს რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობისათვის საჭირო ტრეინინგების ორგანიზებაში.

9. სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ უზრუნველყოფს თანამშრომლების ჩართულობას პაციენტის განათლებისა და კონსულტირების პროცესში რეზისტენტული ტუბერკულოზის პროექტის ფარგლებში, პაციენტთა მკურნალობაზე დამყოლობის შესანარჩუნებლად.

10. სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ უზრუნველყოფს ბედაქილინის, დელამანიდის და მომავალში ხელმისაწვდომი სხვა ახალი მედიკამენტების გამოყენებას მზურველობითი თერაპიის ფარგლებში.

11. სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ უზრუნველყოფს უფასო ქირურგიულ მკურნალობას რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტებისათვის ჩვენების არსებობის შემთხვევაში.

12. სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოფს რეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უნივერსალურ ხელმისაწვდომობას პაციენტთათვის.

III.4 „ექიმები საზღვრების გარეშე“ - საფრანგეთის ვალდებულებები

III.4.1 MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ იმ პაციენტთა გამოვლენაში, რომელთაც ეკუთვნით მკურნალობა ახალი მედიკამენტებით.

- MSF-საფრანგეთი მხარდაჭერას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ ნახველის ნიმუშების გაგზავნაში ანტვერპენის ტროპიკული მედიცინის ინსტიტუტის ლაბორატორიაში, საჭიროების შემთხვევაში, სადაც მოხდება ახალ მოლეკულებზე მგრძნობელობის ტესტის წარმოება, როდესაც ამგვარი ტესტირება გახდება შესაძლებელი. MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ

ცენტრს“ ახალ მედიკამენტებზე მგრძნობელობის ტესტის ჩატარების ჩვენებების განსაზღვრაში.

1. MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ რეზისტენტული ტუბერკულოზის გამოსავლების ჯანმოს ახალი განმარტებების, განსაკუთრებით კი „უშედეგო მკურნალობის“ განმარტების დანერგვაში.
2. MSF-საფრანგეთი პროცესში ჩართავს MSF-PIH CU კონსილიუმს განსაკუთრებული ან რთული შემთხვევების განხილვისას, ან პროექტის საწყის ეტაპზე.
3. MSF-საფრანგეთი მხარდაჭერას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ თანამშრომლების ტრეინინგში *(იხ. პარაგრაფი III.4.8).*

III.4.2 MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა მომზადებაში ახალი მკურნალობისთვის.

1. MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ ექიმებს ტუბერკულოზის სამკურნალო ახალი სქემების მომცველი განახლებული კლინიკური გაიდლაინებისა და პროტოკოლების შემუშავებაში.
2. MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ თავდაპირველი გამოკვლევისათვის საჭირო დამატებითი რესურსებით (ეკგ აპარატურა, ისეთი გამოკვლევების საფასურის გადახდა, როგორიცაა ელექტრომიოგრაფია, ან ლიპაზას ტესტი, თავდაპირველად სტაციონარის ფარგლებს გარეთ, ხოლო შემდეგ ლიპაზას ტესტის დანერგვა ტუბ. საავადმყოფოში/შესაბამისი რეაგენტით მომარაგება), საჭიროებისამებრ.
3. MSF-საფრანგეთი მხარდაჭერას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ ამ პაციენტთა დამყოლობისა და მათი განათლებისა და კონსულტირებისათვის საჭირო დამატებითი რესურსებით.
4. MSF-საფრანგეთი მხარდაჭერას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ თანამშრომლების ტრეინინგში *(იხ. პარაგრაფი III.4.8).*

III.4.3 MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა ახალი სქემებით მკურნალობის დაწყებასა და მეთვალყურეობაში

1. MSF-საფრანგეთი მიაწვდის ცენტრს მედიკამენტებს ტუბერკულოზის სამკურნალო ახალი სქემებისათვის (ბედაქილინი, დელამანიდი, იმიპენემი და ლინეზოლიდი სხვადასხვა კომბინაციაში). პაციენტთა რაოდენობის განსაზღვრა, ვისთვისაც მოხდება MSF-საფრანგეთის მიერ მედიკამენტების მიწოდება, მოხდება MSF-საფრანგეთის შეხედულებისამებრ, საშუალებებისა და პროგრამის წარმატებულობის მაჩვენებლების მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ MSF-საფრანგეთი შეძლებს მიაწოდოს წელიწადში მხოლოდ 50-დან 100-მდე პაციენტის მკურნალობისათვის სამყოფი მედიკამენტები.

2. MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ ახალი მედიკამენტების შემოტანაში, მზრუველობითი თერაპიის მექანიზმის მეშვეობით 2014 წლის მანძილზე.

3. MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ იმიპენემის ინტრავენური ადმინისტრირების სისტემის დანერგვაში სტაციონარში, ამბულატორიაში და ბინაზე და ამისათვის აუცილებელი შესაბამისი

სამედიცინო პერსონალის ტრეინინგში.

ა) იმიპენემის ინტრავენურად შეყვანისთვისსაჭირო სხვადასხვა საშუალებების მხარდაჭერა, მომარაგება და დანერგვა (პერიფერული ვენის კათეტერი, Saf-T-Intima პერიფერულად მოთავსებული ცენტრალური ვენის კათეტერი - პერმანენტული ცენტრალური ვენური პორტის არჩევამდე).

ბ) პაციენტის ამბულატორიული მეთვალყურეობის ცენტრების იდენტიფიცირებაპაციენტის სტაციონარში მოთავსებისთანავე; შესაბამისი ტრეინინგის ჩატარება სამედიცინო პერსონალისთვის ამ ამბულატორიულ ცენტრებში, რათა მოხდეს ამბულატორიული სამკურნალო ბაზის მომზადება პაციენტის სტაციონარიდან გაწერის მომენტისათვის.

4. MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ პაციენტთა ლაბორატორიული მეთვალყურეობისა და მონიტორინგისათვის საჭირო დამატებითი რესურსებით (ეკგ, ემგ, ფსიქიატრის, ჰეპატოლოგის კონსულტაცია, ისეთი ტესტების საფასური, როგორიც არის ლიპაზას ტესტი, და ა.შ.)
5. MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ პაციენტთა მკურნალობაზე დამყოლობისათვის და პაციენტის განათლებისათვის საჭირო დამატებითი რესურსებით პროექტის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში.
6. MSF-საფრანგეთი მხარდაჭერას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ თანამშრომლების ტრეინინგში *(იხ. პარაგრაფი III.4.8).*

III.4.4 MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ ფარმაკოუსაფრთხოების საკითხებში

1. MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ საჭიროების შემთხვევაში გვერდითი მოვლენების, მათ შორის - მძიმე უკურეაქციების დროს ანგარიშგების წარმოებაში საერთაშორისო განმარტებების თანხმად.
2. MSF- საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ ანგარიშგების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებაში, რომელიც შესაბამისობაში იქნება მონაცემთა შეგროვების არსებულ სისტემასთან.
3. MSF-საფრანგეთი მხარდაჭერას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ თანამშრომლების ტრეინინგში *(იხ. პარაგრაფი III.4.8).*

III.4.5 MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ ანგარიშგების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებასა და დანერგვაში, რომელიც შესაბამისობაში იქნება მონაცემთა შეგროვების არსებულ სისტემასთან.

1. MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ პაციენტის მკურნალობის გამოსავალის სწორ დოკუმენტირებაში გამოსავლების ჯანმოს განმარტებების მიხედვით.
2. MSF-საფრანგეთი ჩაატარებს მედიკამენტთა კომბინაციით მკურნალობაზე მყოფი

პაციენტების კოჰორტის ანალიზს MSF-ის მონაცემთა ბაზის მეშვეობით (მათ შორის, მკურნალობის გამოსავალის, გვერდითი მოვლენების და სხვა პარამეტრების ანალიზს).

III.4.6 MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ ახალი ტუბ. საწინააღმდეგო მედიკამენტების რეგისტრაციაში *(ბედაქილინი, დელამანიდი და სხვა ახალი პრეპარატები, რომლებიც შესაძლოა გახდეს ხელმისაწვდომი).*

MSF-საფრანგეთი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად იმუშავებს ბედაქილინის რეგისტრაციაზე.

III.4.7 MSF-საფრანგეთი დახმარებას გაუწევს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ ახალი ტუბ. საწინააღმდეგო მედიკამენტების უსაფრთხო და ეწყვეტი მომარაგების მიზნით შესყიდვაში.

1. MSF-საფრანგეთი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებებს მწარმოებლებთან ქვეყქვეყნისთვის საუკეთესო შესყიდვის ფასის დასაფგენად.
2. MSF-საფრანგეთი დაიცავს იმპორტირებისა და საბაჟო სტანდარტულ პროცედურებს ყველა საჭირო მედიკამენტისა თუ სამედიცინო აღჭურვილობისთვის.

III.4.8 MSF-საფრანგეთი მხარდაჭერას გაუწევს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ შესაბამისი სამედიცინო პერსონალის ტრეინინგის ჩატარებაში

MSF-საფრანგეთი ჩაუტარებს ტრეინინგს ექიმებსა და ექთნებს შემდეგ საკითხებში:

ა) ჯანმოს რეკომენდაციები ახალი ტუბ. საწინააღმდეგო მედიკამენტების გამოყენების შესახებ (ეროვნული გაიდლაინების განახლება - მათში ბედაქილინის შეტანა).

ბ) რეზისტენტული ტუბერკულოზის სამკურნალო ახალი სქემები, ახალი მედიკამენტები

I. პაციენტთა მომზადება - ბაზისური ნევროლოგიური, კარდიოლოგიური და ოფთალმოლოგიური შემოწმება ახალი მკურნალობის დაგეგმვისას.

II. მონიტორირება და მეთვალყურეობა - ჯანმრთელობის დაცვისა და მეთვალყურეობის სისტემის აწყობა პაციენტებისთვის, რომელთაც გვერდითი მოვლენები და გართულებები აღენიშნებათ, (ელექტრომიოგრაფია ნევროლოგიური გვერდითი მოვლენების შემთხვევაში, ექოკარდიოგრაფია კარდიოლოგიური გართულებების შემთხვევაში, ჰოლტერ-მონიტორი ეკგ, სპეციალისტთა დამატებითი კონსულტაციები, რასაც დღესდღეისობით არ ფარავს სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“, ჰემატოლოგიური გართულებების პოტენციური მკურნალობა - რკინა, ერითროპოეტინი, სისხლის გადასხმა).

III. ნუტრიციული შეფასება (ანთროპომეტრული, კლინიკური, დიეტური და ბიოქიმიური), ნუტრიციული მხარდაჭერა (ვიტამინები, თერაპიული საკვები,

ერითროპოეტინი)

გ) ამ პაციენტთა განათლება და კონსულტირება

დ) ICSR, MedDRA, უკუ-რეაქციების სტანდარტული შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

ე) ჯანმოს მკურნალობის გამოსავლების ახალი განმარტებები

IV. ადამიანური რესურსები

IV.1 ამ პროგრამაში იმუშავებენ სხვადასხვა კატეგორიის თანამშრომლები

1. MSF-საფრანგეთის თანამშრომლები: უცხოელი და ადგილობრივი თანამშრომლები, მომუშავე პროექტის განხორციელების სხვადასხვა ადგილას და MSF-საფრანგეთის საკოორდინაციო ოფისში. MSF-საფრანგეთი პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარ თანამშრომლებზე.
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ პასუხს აგებენ თავიანთ თანამშრომლებზე.

IV.2 ზედამხედველობა

1. პროექტის წარმატებული დანერგვის უზრუნველყოფა მოხდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ და MSF-საფრანგეთის ერთობლივი ყოველდღიური საქმიანობით.

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ და MSF-საფრანგეთი ითანამშრომლებენ ყოველდღიურად, რათა უზრუნველყონ რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა ადექვატური მეთვალყურეობა. პროექტის ფარგლებში, MSF-საფრანგეთი უზრუნველყოფს ტექნიკურ რჩევებს კლინიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში რეზისტენტული ტუბერკულოზის კონსილიუმზე, ისევე, როგორც რეკომენდაციებს ყოველდღიურ სამუშაო პროცესში, ხოლო პაციენტის მკურნალობასა და მეთვალყურეობაში უშუალოდ მონაწილე სამედიცინო პერსონალი პასუხისმგებელი იქნება რეზისტენტული ტუბერკულოზის კონსილიუმზე მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებაზე.

3. ერთიანი ზედამხედველობა რეზისტენტული ტუბერკულოზის ახალი პროექტის დანერგვაზე განხორციელდება ერთობლივად, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრისა“ და MSF-საფრანგეთის მიერ. ამ დროისთვის, ამ მემორანდუმის ყველა მხარეს პასუხისმგებლობა ზედამხედველობა გაუწიოს თავიანთი თანამშრომლების საქმიანობას.

4. მხარეები თანხმდებიან რეგულარულ შეხვედრებზე, რათა განიხილონ რეზისტენტული ტუბერკულოზის ახალი პროექტის დანერგვასთან დაკავშირებული მიმდინარე ფინანსური, ადამიანური რესურსების მართვის, სამედიცინო, ლოჯისტიკური თუ სხვა საკითხები.

V. ურთიერთგაგების მემორანდუმის განხორციელება

აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმი წარმოადგენს ერთობლივ პარტნიორობას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრსა“ და ექიმები საზღვრების გარეშე (MSF) – საფრანგეთს შორის.

V.1 MSF-საფრანგეთის მონაწილეობის პირობები

MSF-საფრანგეთი პროექტში მონაწილეობას თანხმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემდეგი პირობები იქნება დაცული:

1. MSF-საფრანგეთს ექნება საშუალება უშუალო მეთვალყურეობა გაუწიოს პროექტის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობათა ხარისხს.
2. MSF-საფრანგეთს არ უნდა მოეთხოვოს ისეთი საქმიანობის განხორციელება, რაც ეწინააღმდეგება ორგანიზაციის მანდატს, პრინციპებსა და ღირებულებებს, კერძოდ: ნეიტრალიტეტის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპს; საერთაშორისო სამედიცინო ეთიკის დაცვის და სამედიცინო კონფიდენციალურობის პრინციპებს.

V.2 დაწყების თარიღი და ვადები

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის განხორციელება დაიწყება ამ დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრისა“ და საქართველოში MSF-საფრანგეთის მისიის ხელმძღვანელს შორის.

V.3 ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების ვადა

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან 1 წლის განმავლობაში. ის ორჯერ ავტომატურად განახლდება შემდეგი 1-წლიანი პერიოდებით; მემორანდუმის თითოეულ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმი მას შემდეგ, რაც დანარჩენ ორ მხარეს შეატყობინებს თავისი გადაწყვეტილებისა და მისი მიზეზების შესახებ, შეწყვეტამდე არაუგვიანეს 2 თვით ადრე.

აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის განხორციელების პროცესში შესაძლოა მხარეებმა განიხილონ MSF-საფრანგეთის მხრიდან პროექტისათვის მხარდაჭერის შესაძლო პროგრესირებადი შემცირების საკითხი. ამ შემცირების ვადა დამოკიდებული იქნება ქვეყანაში რეზისტენტული ტუბერკულოზის სიტუაციის ყოველწლიურ შეფასებაზე და პროექტის განვითარებაზე.

MSF-საფრანგეთმა შეიძლება შეაჩეროს, შეამციროს ან დაუყოვნებლივ შეწყვიტოს თავისი საქმიანობა და ცალხმრივად შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმი ფორსმაჟორის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების ან სამედიცინო ეთიკის დარღვევის შემთხვევაში, ან მაშინ, როდესაც მისი თანამშრომლების უსაფრთხოება ვეღარ არის გარანტირებული რეგიონში. ასეთი სიტუაციებისას MSF იტოვებს უფლებას შეამციროს, ან დახუროს თავისი პროექტები მას შემდეგ, რაც ამის შესახებ შეატყობინებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტროს და ეს არ უნდა განიხილებოდეს, როგორც წინამდებარე მემორანდუმით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე უპატივცემულობის გამოხატულება.

წინამდებარე მემორანდუმის ან MSF-საფრანგეთის ქვეყანაში ოფიციალური რეგისტრაციის ცალმხრივად შეწყვეტა ეროვნული უფლებამოსილი პირების მხრიდან, ადმინისტრაციულად და სამართლებრივად უთანაბრდება ფორსმაჟორულ მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაში, MSF-ის მიმართ გავრცელდება მხოლოდ ის სამართლებრივი და ადმინისტრაციული ვალდებულებები, რაც შეესაბამება ფორსმაჟორულ სიტუაციებს.

VI. დავების გადაწყვეტა

1. აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმი შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს, მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

2. აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის განმარტებასთან, განხორციელებასთან ან გამოყენებასთნ დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი უნდა გადაწყდეს მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით. თუ დავის მოგვარება ვერ მოხერხდა მოლაპარაკების გზით, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოსათვის მიმართვის გზით ქართული კანონმდებლობის გამოყენებით.

VII. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი შედგენილია და ხელმოწერილია ინგლისურ და ქართულ ენებზე, სამ ასლად თითოეულ ენაზე. მისი განმარტებისას წარმოშობილი სადაო საკითხების განხილვისას უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ვერსიას.

2. მხარეები რჩებიან დამოუკიდებელ ერთეულებად. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის დებულებები არასოდეს უნდა იქნას განმარტებული, როგორც რაიმე გაერთიანების, ან ერთობლივი კომპანიის ჩამოყალიბების მცდელობა და არც ერთ მხარეს არ აძლევს უფლებას ილაპარაკოს, წარმოადგინოს ან რაიმე მოვალეობები აიღოს მეორე მხარისს სახელით.

3. საიდენტიფიკაციო ნიშნები - სახელწოდება „ექიმები საზღვრების გარეშე" (″Médecins Sans Frontières″), მისი აკრონიმი MSF და MSF ლოგო - MSF-საფრანგეთს აძლევს სხვა ჰუმანიტარული და არა-ჰუმანიტარული მოქმედი ორგანიზაციებისაგან გამორჩევის საშუალებას მისი მოღვაწეობის ადგილზე.

ხელმოწერილია თბილისში, საქართველოში, 03 / 09 / 2014 წ.

ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან	მინისტრის მოადგილე: მარიამ ჯაში
ექიმები საზღვრებს გარეშე (MSF) – საფრანგეთის მხრიდან	მისიის ხელმძღვანელი საქართველოში: ჟოსლინ მადრილენი
სსს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის მხრიდან	აღმასრულებელი დირექტორი: ზაზა ავალიანი